ხელშეკრულება N36

ქ.ხაშური 9 მარტი 2018 წელი

ერთი მხრივ **ხაშურის კულტურის და ბავშვთა და მოზარდთა შემოქმედებითი განვითარების ცენტრების გაერთიანება** (შემდგომში შემსყიდველი), წარმოდგენილი მისი დირექტორის **გიორგი ბოლოკაძის** სახით, მეორე მხრივ **ინდივიდუალური მეწარმე მაია ზაალიშვილი** (შემდგომში მიმწოდებელი), "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას (შემდგომში ხელშეკრულება) შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1. ხელშეკრულების საგანია: „მის ხაშური 2018" ორგანიზება-ჩატარების მომსახურება CPV: 79952100 (შემდგომში მომსახურება), მიწოდება, ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

2. ხელშეკრულების ღირებულება

ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 3700.00 (სამი ათას შვიდასი) ლარს

დასახელება	ერთეული	ერთეულის ფასი	ჯამური ფასი
სასცენო ჩაცმულობა	60	30	1800
სცენის გაფორმება			50
მოსაწვევები, დიპლომები, ლენტები			350
სხვადასხვა ორგანიზაციული ხარჯები			500
მოგება			1000
			სულ:3700 ლარი

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში, ორგანიზაციის სუბსიდიებიდან;

3.2 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს მიღება-ჩაბარების აქტისა და შესაბამისი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის/სააქონლო ზედნადების საფუძველზე, 10 სამუშაო დღის ვადაში.

4. მიღება-ჩაბარების წესი

4.1 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს ხაშურის კულტურის და ბავშვთა და მოზარდთა შემოქმედებითი განვითარების ცენტრების გაერთიანების დირექტორი გიორგი ბოლოკაძე

4.2 მომსახურება ჩაითვლება მიწოდებულად მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

5.მომსახურების ვადა და მიწოდების ადგილი

5.1 მომსახურების მიწოდების ადგილია ხაშური;

5.2 მომსახურების მიწოდება განხორციელედება 2018 წლის 16 მარტს;

6. მხარეთა უფლება-მოვალეობები:

6.1 შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;

6.2 შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადებში;

6.3 მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში;

6.4 მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს მომსახურება იმ ვადაში რომელიც მითითებულია ხელშეკრულების 5.2 პუნქტში;

7. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

7.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ვადის გაშვების შემთხვევაში, მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, შეუსრულებელი ვალდებულებების ღირებულების 0.02%ის ოდენობით

7.2 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ხელშეკრულების შესრულებისაგან

8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით მხარეთა შეთანხმების საფუძველზე

8.2 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა, დაუშვებელია თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება, ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა, ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით

8.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია, ხელშეკრულების ღირებულების 10%ზე მეტი ოდენობით

9. ფორს-მაჟორი

მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულების შეუსრულებლობისთ გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშული გამოწვეულია აუცდენელი დაუძლეველი ძალის ზეგავლენით, აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუსრულებლობის შესახებ

10. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წარმოშობილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით, შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ვადაში შედის ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2018 წლის 30 აპრილამდე;

შემსყიდველი	მიმწოდებელი
ხაშურის კულტურის და ბავშვთა და მოზარდთა შემოქმედებითი განვითარების ცენტრების გაერთიანება	**ი.მ მაია ზაალიშვილი**
ხაშური, რუსთაველის მე-2 ე შესახვევი	ქ. თბილისი, ისანი-სამგორის რაიონი, ვაზისუბნის II მ/რ, კორ. N11, ბ, 58
საიდენტიფიკაციო კოდი 243918070 ბანკის კოდი TRESGE22 ა/ა GE24NB0330100200165022	საიდენტეიფიკაციო კოდი 01012023182 ბანკის კოდი BAGAGE22 ა/ა GE41BG0000000207844300
გაერთიანების დირექტორი გიორგი ბოლოკაძე	ინდ მეწარმე მაია ზაალიშვილი

მიღება-ჩაბარების აქტი

ქ ხაშური

16 მარტი 2018 წელი

ერთის მხრივ ა(ა)იპ ხაშურის კულტურის და ბავშვთა და მოზარდთა შემოქმედებითი განვითარების ცენტრების გაერთიანების დირექტორი გიორგი ბოლოკაძე, მეორე მხრივ ინდ. მეწარმე მაია ზაალიშვილი წინამდებარე აქტით ვადასტურებთ, რომ 2018 წლის 9 მარტს დადებული ხელშეკრულება N36ის საფუძველზე ინდივიდუალურმა მეწარმე მაია ზაალიშვილმა უზრუნველყო „მის -ხაშური2018“ ის ორგანიზება ჩატარება, ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

დასახელება	ერთეული	ერთეულის ფასი	ჯამური ფასი
სასცენო ჩაცმულობა	60	30	1800
სცენის გაფორმება			50
მოსაწვევები, დიპლომები, ლენტები			350
სხვადასხვა ორგანიზაციული ხარჯები			500
მოგება			1000
			სულ:3700 ლარი

აქტს ხელს ვაწერთ და მხარეებს ერთმანეთის მიმართ პრეტენზიები არ გაგვაჩნია:

გიორგი ბოლოკაძე

მაია ზაალიშვილი